ქ. ბათუმში, გენ. ა. აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №11-3

ქ. ბათუმი, 26 დეკემბერი, 2011 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ;

თენგიზ პეტრიძე - სატენდერო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ.

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

სხდომას არ ესწრებოდა: დავით სამნიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე, რომელიც იმყოფება კუთვნილ შვებულებაში (ქ. ბათუმის მერის ბრძანება №3/1255, 06.12.2011).

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, გენ. ა. აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღ-რიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 14 დეკემბერს გამოცხადებულ N242 კონკურსში დაზუსტების შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ვლადიმერ ხინთიბიძემ კომისიას მოახსენა, რომ 2011 წლის 22 დეკემბრის საკონკურსო კომისიის სხდომის (ოქმი N11-2) შესაბამისად, სს „აჭარკაპმშენს“ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში შეტყობინების მიღებიდან უნდა წარმოედგინა დაზუსტებული, საკონკურსო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურებაზე (საპროექტო-სახარ-

ჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება) საერთო ღირებულებით არანაკლებ 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარისა, რაც პრეტენდენტის მიერ არ იქნა შესრულებული. აქედან გამომდინარე, სს „აჭარკაპმშენი“ ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ქ. ბათუმში, გენ. ა. აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსში.

რამდენადაც კონკურსში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის საკონკურსო წინადადების მქონე ერთმა პრეტენდენტმა მიიღო დისკვალიფიკაცია, კონკურსს მიენიჭოს სტატუსი - დასრულებულია უარყოფითი შედეგით.

კომისიამ დაადგინა:

1. სს „აჭარკაპმშენი“ დისკვალიფიცირებული იქნეს ქ. ბათუმში, გენ. ა. აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღ-რიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოცხადებულ N242 კონკურსში;

2. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს სს „აჭარკაპმშენს“;

3. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, გენ. ა. აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღ-რიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 14 დეკემბერს გამოცხადებულ N242 კონკურსს მიენიჭოს სტატუსი - დასრულებულია უარყოფითი შედეგით;

4. წინამდებარე ოქმი (თანდართული დოკუმენტებით) გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არაუგვიანეს 26 დეკემბრისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის წევრები: არჩილ ვანაძე

თენგიზ პეტრიძე

ვლადიმერ ხინთიბიძე